

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო

უნივერსიტეტის პროფესორის, ასოცირებული პროფესორის,

ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის აკადემიური

თანამდებობების დაკავების წესი

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე, 35-ე და 36-ე მუხლის თანახმად, აკადემიური თანამდებობის დაკავების მიზნით, პროფესორთა ღია კონკურსით შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით:

აკადემიური თანამდებობის დაკავება მოხდება ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

დრამის, კინო - ტელე და ქართული ხალხური სამუსიკო და ქორეოგრაფიული

ხელოვნების ფაკულტეტებისათვის

1. პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატი სავალდებულოა იყოს პრაქტიკოსი დარგში, ჰქონდეს ბოლო 10 წლის განმავლობაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის უწყვეტი სტაჟი და დოქტორის აკადემიური ხარისხი.
2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს – პედაგოგიური მუშაობის უწყვეტი სტაჟი არანაკლებ ბოლო 8 წლის განმავლობაში და დოქტორის აკადემიური ხარისხი.
3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს – პედაგოგიური მუშაობის უწყვეტი სტაჟი არანაკლებ ბოლო 4 წლის განმავლობაში და დოქტორის აკადემიური ხარისხი.
4. ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია კონკურსანტი იყოს დოქტორანტი.

ძირითადი მოთხოვნები:

1. განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე
2. საკონკურსო განაცხადი (ანკეტა)
3. უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი
4. სამეცნიერო ხარისხის/ წოდების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
5. CV
6. საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
7. პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულოა დისციპლინის სრული სილაბუსის წარდგენა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო დონეზე. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად დისციპლინის სწავლების სტრუქტურის აღწერა სილაბუსი საბაკალავრო და სამაგისტრო დონეებზე.
ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულოა დისციპლინის სრული სილაბუსის წარდგენა საბაკალავრო დონეზე.
8. აქტივობის (შემოქმედებითი, სამეცნიერო-პედაგოგიური და ა.შ.) დამადასტურებელი სხვა მასალა;
9. ერთი ფოტოსურათი (3 X 4)

დამატებითი მოთხოვნები:

1. პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებული პრემია, გრანტი, სტიპენდია, ფესტივალებში მონაწილეობა (დადასტურებული ასლებით);
2. გამოცემული პროფილური წიგნები და სახელმძღვანელოები; გამოქვეყნებული პროფილური შრომები, სტატიები და რეცენზიები (მითითებული უნდა იყოს გამომცემლობა და გამოცემის თარიღი).
3. საქართველოს ან უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
4. უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და ფორმდება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 3 წევრით.

საკონკურსო კომისიის წევრს რექტორი დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ორიმესამედი.

საკონკურსო კომისია შედეგებს ადგენს წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით – ღია კენჭისყრით.

საკონკურსო კომისია ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელოს საკონკურსო პირობების ძირითადი და დამატებითი მოთხოვნებით.

საკონკურსო კომისია კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას აფასებს ქულობრივი სისტემით, „ძირითადი და დამატებითი მოთხოვნების“ თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და ქულათა ჯამით გამოავლენს კონკურსში გამარჯვებულს.

თანაბარ ქულათა რაოდენობის პირობებში მყოფ კონკურსანტებს შორის უპირატესობა მიენიჭება შემოქმედებით კომპონენტში გამარჯვებულს.

საკონკურსო კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე, აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსანტის არჩევის შესახებ.

აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება, აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, ფორმდება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

კონკურსის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს 10 დღის ვადაში, სააპელაციო კომისიაში.

სააპელაციო კომისიას იწვევს რექტორი და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

სააპელაციო კომისია განისაზღვრება 3 წევრით.

სააპელაციო კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ორი მესამედი.

სააპელაციო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას ამტკიცებს წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით - ღია კენჭისყრით.

კონკურსის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6.

კონკურსში მონაწილეთა შეზღუდვა:

კანდიდატი, რომელსაც უკავია აკადემიური თანამდებობა სხვაუმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, პროფესორის თანამდებობაზე გასვლის შემთხვევაში, კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ, ვალდებულია არსებული სამსახურიდან გათავისუფლდეს; ხოლო ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დაკავებისას, პირს, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობის უფლება აქვს, მხოლოდ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის წერილობითი თანხმობით.

კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებგვერდზე.